№ 106

კვირა, 1 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 106

კვირა, 1 ივნისი 1897 წ.

ფასი გაზეთისა:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღეს, 1 ივნისს, მეორმოცე დღეს **კნეინა ნინო გრიგოლის ასულის დიასამიძის გარდაცვალებისა**, გარდიხდიან წირვას და შემდეგ პანაშვიდს სომხის წმ. სტეფანეს დედათა მონასტერში ფეთხაინის ქუჩაზე, დილის 10 საათზედ, რასაც მეუღლე მისი შვილებითურთ, ძმა და დები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა.

(1—1)

ხვალ, ორშაბათს, 2 თიბათვეს, მცხეთის ტაძარში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **იოსებ რომანოზის ძის მრევლიშვილის სულის მოსახსენებლად**, აუწყებენ რა ამას განსვენებულის დები და ძმები ნათესავთა და ნაცნობთა, სთხოვენ მობრძანდნენ აღნიშნულ ტაძარში ზემოხსენებულ დღეს, დილის 10 საათზედ.

(1—1

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 ივნისს.

რადგან 16 მაისს ამ წლისა დანიშნული

**საზოგადო წლიური კრება**

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა" არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი, თანახმად საზოგადოების წესდების 15 მუხლისა, ხელმეორედ დანიშნულ იქმნა 1 თიბათვისათვის, კვირას, საღამოს 7 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1896 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1897 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **1 ივნისისთვის დანიშნული**, დილის 8 საათზედ, **დამატებითი არჩევანები** ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა დაიწყება, ტფილისის გუბერნატორის განკარგულებისამებრ, **ნაშუადღევის** 1 საათზედ. (1—ნ.—1).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულება დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი**. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისდა ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

# სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა, და დედათა ავადმყოფობისანი**.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფებს შიაგასინჯავეიძლებ დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**შ. ქ. გერრატი**.

დედათა ავადმყოფობას და საბებიოს მკურნალი **ე. ფ. ბაცევიჩი** (20 მაისს), და მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი**.

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისა, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

(10—ნ.—7)

## მთავრობის განკარგულებანი

ჩარიცხულ იქმნა ქვეითა სათადარიგო ჯარში, 84 შირვანის მათის უდიდებულესობის რაზმის პორუჩიკი თავადი ვაჩნაძე.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობისა გამო, თავისისავე თხოვნის თანახმად წევრი—საქმის მწარმოებელი ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოსი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი თავადი ერისთავი.

# ახალი ამბავი

⁂ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 1 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, დაიწყება ქალაქის ხმოსანთა არჩევანი „ტფილისის საბრანიის" საზაფხულო სადგომში.

⁂ 30 მაისს ქალაქის მოურავის დროებით აღმასრულებელს უარი განუცხადეს მომავალ არჩევანებზედ სახმოსნო ყუთის დადგმისა შემდეგ ამომრჩეველთ: გ. ე. წერეთელმა, თავ. ვ. ს. მიქელაძემ, თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილმა, ნ. ზ. ცხვედაძემ, მ. კ. ყიფიანმა, ა. ა. ჯანშიევმა, მ. ვ. ბარნოვმა, ი. მ. სუნდუკიანცმა, პ. ს. ვასილიევმა და ფ. ფ. მასალოვმა.

⁂ თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილსა და ვ. რ. ყიფიანს, რომელნიც 18 მაისს იქმნენ არჩეულნი ქალაქის გამგეობის ხმოსნებად, უარი განუცხადებიათ ამ თანამდებობაზედ. ჯერ-ჯერობით ხუთმა ქართველმა განაცხადა უარი ხმოსნობისა.

⁂ ხვალ, ორშაბათს, 2 ივნისს, კავკასიის დედათა ინსტიტუტში წლიური აქტი იქმნება გარდახდილი.

⁂ ხვალ, 2 ივნისს, დილის 11 საათზედ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების საზოგადო კრებაა დანიშნული. იმედია ჩვენი საზოგადოება ჩვეულებრივს გულ-ცივობას არ გამოიჩენს და კრება სასურველის სიცოცხლითა და საქმისადმი სიყვარულით იჩენს თავს, რომ თუ დღემდის რიგიანად ვერ მიდიოდა ჩვენი სცენის საქმე, ამას იქით მაინც დაეტყობა ნიშანი სიცოცხლისა და საზოგადოების ყურადღებას მიიზიდავს, შეაყვარებს იმას, რაიცა ცხოვრების ნაკლ-მეტულობას თვალით უჩვენებს.

⁂ როგორც შევიტყეთ, თავადი გენერალ-მაიორი გ. თარხან-მოურავი გორის მაზრაში დაუნიშნავთ მომრიგებელ მოსამართლედ.

⁂ ნაძალადევის მცხოვრებთაგანს რამდენსამე კაცს თხოვნა შეუტანია ალაქის გამგეობაში, რომ მიწა, რომელზედაც დღეს მოსახლეობენ, იჯარით მიეცეთ.

⁂ ქალაქის ინჟენერად ნამყოფს ბ-ნს დერჟანოვსკის წინადადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ ქალაქის ქუჩები ახალის გაუმჯობესებულის საშუალებით მოკირწყლოს.

⁂ ამ ზაფხულის დასაწყისს ჩამოვა ტფილისში გამოჩენილი ვექილი პლევაკო, რომელმაც უნდა დაიცვას ტფილისის სამოსამართლო პალატაში ერთი შესანიშნავი საქმე. („Н. О.")

⁂ ტფილისში ხმა დადის, რომ ტუსიშვილს, რომელსაც პამპალოვის (აწ კნ. ტუსიშვილისა) ქალის მოტაცება ჰბრალდებოდა, ეპატია დანაშაულობაო. („Н. О.")

⁂ ოდესსა. წელს ოდესსის უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრეს შემდეგმა ოთხმა ქართველმა სტუდენტმა: ფილოლოგიურზედ—პართენ გოთუამ (ოქროს მენდლით), მათემატიკურზე—ევგენი ჭოლოშვილმა, იურიდიულზედ—ივ. ქვანიამ და ან. დეკაოზიშვილმა.

⁂ ტფილისის სახაზინო თეატრის დირექციას აზრადა აქვს თურმე მომავალს საზამთრო სეზონში ხსენებული თეატრი გადასცეს იჯარით ოპერის არტისტთა ამხანაგობას. თუ ასეთი ამხანაგობა არ გამოჩნდა, მაშინ თვით დირექციას არტისტთა დასი არ ეყოლება, ხოლო გასცემს თეატრს დრამატიული წარმოდგენების, კანცერტებისა და სამუსიკო საღამოების გასამართავად. საოპერო ამხანაგობას სუბსიდია არ მიეცემა, პირიქით, ამ უკანასკნელმა უნდა გადაიხადოს დირექციის სასარგებლოდ განათებისა, გათბობისა და მოსამსახურეთა შესანახი ხარჯი.

⁂ ვაუწყებთ ჩვენ მეაბრეშუმეებს, რომ წელს აბრეშუმის ნაწარმოებს პარკებს, აბრეშუმს და სხვას გაცილებით მეტი ფასი აქვს, ვიდრე წარსულ წლებში ჰქონდა. ამ ჟამად პარკების ყიდვა უკვე დაიწყო ხონსა, სამტრედიასა, ლანჩხუთში და სხვაგან. ფუთი 8-დან 11 მანეთამდის იყიდება, მაგრამ აწონაში ტყუვდებიან მეაბრეშუმეები, რადგანაც წონით არ იყიდება პარკები. გურიასა და სამეგრელოში პარკებს ჰყიდიან ზომით—„ქილით". ყველა მეპარკეს აქვს „ქილა", რომელიც ათის გირვანქის მაგივრად 12—15 გირვანქას იწონს. ამნაირად, მეპარკეები თუმცა 10—11 მანეთს იძლევიან ფუთში, მაგრამ 6—7 მან. უჯდებათ.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

30 მაისი.

კრება გაიხსნა $10^1/_2$ საათზე, თავჯდომარემ წაიკითხა ახლად მოსული ტელეგრამა იმის შესახებ, რომ ხელმწიფე იმპერატრიცას მშვიდობიანად ეყოლა ქალიშვილი, ტატიანად სახელ წოდებული.

კრება ვაშას ძახილით მიეგება ამ ტელეგრამას და დაავალა თავჯდომარეს, რომ ამ უკანასკნელმა თავად-აზნაურების სახელით მიულოცოს მათ იმპერატორებით უდიდებულესობას.

ამ განკარგულების სისრულეში მოყვანის შემდეგ წაკითხულ იქმნა ბ. ტფილისის გუბერნატორის პასუხი თავად აზნაურობის შეკითხებაზე. თავად-აზნაურობა შეეკითხა გუბერნატორს, რომ რა მიზეზის გამო საერთო აღწერის დროს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლების მაგიერ აღწერის კომისიების თავმჯდომარეედ მაზრის უფროსები იყვნენ დანიშნულნიო.

გუბერნატორის პასუხში აღნიშნულია ის მიზეზები, რა მიზეზებითაც არ იქმნენ დანიშნულნი მაზრის წინამძღოლნი აღწერათა კომისიების თავჯდომარეედ.

თავ. დ. ა. სუმბათაშვილი. მე მგონია, რომ ამ საგნის შესახებ ბაასი მეტია ეხლა, რადგან დეპუტატთა კრებას არ განუხილავს იგი.

თავ. დ. გ. ჯანდიერი. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს საგანი იქ არ იქმნა განხილული, სადაც უნდა ყოფილიყო. იგი გუბერნატორმა-კი არ გასინჯა, არამედ აღწერათა საგუბერნიო კომისიამ, რომელშიაც თავად-აზნაურთა მარშალიც იყო. რადგან ბ. მარშალმა თავისს დროზე პროტესტი არ განაცხადა, ეხლა გვიანღაა.

თავმჯდომარე. მე ტყუილადა მდებთ დანაშაულს, რადგან კომისიის სხდომას, ჩემ მაგიერ ჩემი მოადგილე, ტფილისის მაზრის წინამძღოლი თავ. ბებუთაშვილი დაესწრო.

შემდეგ წაკითხულ იქმნა პროექტი, რომელშიაც მოხსენებულია ის, თუ როგორ უნდა მოეწყოს თავად-აზნაურობის მამული—არწრუნისეული ქარვასლა.

თავ. თარხან-მოურავმა და ჯანდიერმა

წარმოსთქვეს ის აზრი, რომ ძალიან ბევრი უფლებანი აქვს ამ საქმეში გუბერნიის მარშალს. კარგი იქნება დაინიშნოს სარევიზიო კომიტეტი ხუთი კაცისაგან, რომელმაც უნდა თვალყური ადევნოს თავად-აზნაურთა მამულის გამგე კომისიის მოქმედებას.

ზოგიერთნი ასახელებენ კომისიის წევრებს.

თავმჯდომარე. კომისია არჩეულია და კითხულობს შემდეგ გვარებს: ხ. ი. მამაცაშვილი, თავ. ხიმშიაშვილი, გენ. ბუქყიევი, გენ. იედიგაროვი, თავ. დ. ზ. მელიქიშვილი და თავ. ვ. ვაჩნაძე.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. ჯერ პროექტი უნდა იქმნას განხილული და შემდეგ უნდა აირჩიოს კომისია საზოგადო კრებამ და არა თავმჯდომარემ.

თავმჯდომარე. კომისიის წევრები უკვე ამორჩეულია.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. თქვენ ძალას ატანთ საზოგადო კრებას. (ხმაურობაა).

თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. მე ჩემ თავს კომისიის წევრად არა ვსთვლი, რადგან ყველანი წინააღმდეგნი არიან ამ რიგად ამორჩევისა.

თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი. პროექტის განხილვა მივანდოთ მაზრის წინამძღოლთ გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. მაინც კომისიას უკვე ამორჩეულად სთვლის.

შემდეგ წაკითხულ იქმნა სათავადაზნაურო ბანკისა და კომისიის შორის აღძრული მიწერ-მოწერა 19,000 მანეთის შესახებ, რომელსაც კომისია ბანკსა სთხოვდა.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. მაგ დავის შესახებ, თავად აზნაურთა კრებას არაფერი ეთქმის, რადგან იგი იურიდიულად უნდა გაირჩეს. თუ კომისია იმ აზრისაა, რომ ფული ეკუთვნის ბანკისაგან და ეს უკანასკნელი-კი უარზეა, მაშინ საჩივარი უნდა აღძრას კომისიამ.

თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი. ამ საქმეს ზნეობრივის მხრივაც უნდა შევხედოთ. ბანკი ჩვენია, ჩვენის ფულით არის დაარსებული და, მაშასადამე, ნება არა აქვს უარი გვითხრას იმ ფულზედ, რაც ჩვენ გვეკუთვნის.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. ბანკის გამგეობას არ შეუძლიან ეგ ჩაიდინოს. ბანკი არ ექვემდებარება თავად-აზნაურთა კრებას. უპირველესს ყოვლისა ბანკმა დამფუძნებლების, მსესხებლების და გირავნობის ფურცლების პატრონების ინტერესები უნდა დაიცვას.

ა. ი. კობიაშვილი წვრილებით და არჩევს საგანს და ასახელებს რა მიზეზის გამო აღძრა იგი, როდესაც კომისიის წევრად იყო.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი ამ საგნის შესახებ უნდა შევეკითხოთ ბანკის წევრთა საზოგადო კრებას და შეიძლება იმან დააკმაყოფილოს თავად-აზნაურთა სურვილი. გარდა ამისა, ამ ჟამად ახლად ამორჩეული კომისია განაგებს თავად-აზნაურთა მამულებს. კომისიამა და ბანკმა ერთმანეთს შორის უნდა მოილაპარაკონ და როგორმე მორიგდნენ.

კრებამ ეს წინადადება შეიწყნარა. შემდეგ წაკითხულ იქმნა კომისიის ჟურნალი ოძისის მამულის შესახებ და წერილი თავ. ზაქ. გიორ. ერისთავისა. წერილში თავ. ერისთავი სწერს, რომ თუ არ უზრუნველჰყოფთ მომავალ სამეურნეო სასწავლებელს, მე ნება მაქვს უკანვე დავიბრუნო უკვე ნაჩუქები ოძისის მამულიო.

თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი. (თავჯდომარეს) ჩვენ დღეს უნდა განგვეხილა ანგარიში თქვენის სამის წლის მოქმედებისა და იმის მაგიერ, სულ სხვა საგნებზედ გვაქვს ლაპარაკი.

თავჯდომარე. ჩემის მოქმედების განხილვა კრებას არ ეკითხება (უკმაყოფილებაა). აქ უნდა განვიხილოთ ის საგნები რომელიც ჩემს ანგარიშშია დასახელებული, დავუბრუნდეთ ოძისის სკოლას.

თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი. თავ. ერისთავი შემავიწროებელ პირობას გვიდებს. ის უნდა ენდოს მხოლოდ თავად-აზნაურთა პატიოსანს სიტყვას.

გ. ი. ყარაკე. მე თვითონ შევსწირავდი თავად-აზნაურობას დიდს მამულს, იმ პირობით, თუ იქ უნივერსიტეტს დააარსებენ. მაგრამ ასეთის მოთხოვნილებით არასოდეს არ ჩავაყენებ თავად აზნაურობას გაჭირვებულს მდგომარეობაში.

ი. გ. რატიშვილი. ჩვენ იმდენად ცოტა ფული გვაქვს, რომ თავად-აზნაურობის სკოლასაც ძლივს უძლვებით, ამიტომ მაგ საგნის განხორციელება ჯერ-ჯერობით უნდა გადაიდოს.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. თავ. ერისთავი ჩვენგან ბევრს არა თხოულობს. ის გვაძლევს მამულს, რომელიც 100 ათასი მან. ღირს. გვპირდება სუბსიდიას და ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან ორი ან სამი ათასი მანეთი გავიღოთ, ორი დაბალის ხარისხის სამეურნეო სასწავლებელი მაინც დავაარსოთ.

ამ აზრისანი იყვნენ ა. ი. კობიაშვილი, თავ. გ. ლ. მელიქიშვილი, და თავ. ი გ. ჭავჭავაძე.

რადგანაც ეს საგანი სავსებით გამორკვეული არ იქმნა, იმის განხილვა გადაიდო შემდეგის კრებისათვის.

---

## „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება.

ჩვენ მივიღეთ ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოქმედებისა 1896 წელს. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ხსენებულს საზოგადოებას სულ 518 წევრი ჰყოლია, მათ შორის 8 საპატიო, 90 დამფუძნებელი და 420 ნამდვილი წევრი. საზოგადოების გამგეობას საანგარიშო წლის განმავლობაში ჰქონია 38 სხდომა და განუხილავს სულ 346 საქმე. საზოგადოებას აბარია შვიდი სკოლა და სამი სახალხო ბიბლიოთეკა, სახელდობრ: კავკავისა, ბათუმისა, ხელთუბნისა, წინარეხისა, წიონეთისა, ქუთაისისა და სენაკის სათავად-აზნაურო სკოლები და წიგნთ-საცავები: ორი ტფილისისა და ერთიც ახალციხისა. სასწავლო წლის დამდეგს ამ სკოლებში სწავლობდა: კავკავისაში—100 მოსწავლე, ბათუმისაში—116 მოს. ხელთუბნისაში—47 მოს. წინარეხისაში—40 მოს., თიონეთისაში—50 მოს., ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში—311 მოს., სენაკისაში—147 მოს. მაშასადამე, ყველა 7 სკოლაში სამოსწავლო წლის დამდეგს ყოფილა სულ 812 მოსწავლე. სკოლები, ქუთაისის თავად-აზნაურობის გარდა, რომელსაც ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკიდგან ეძლევა ფული, ინახება ადგილობრივის საზოგადოების, სოფლის ან გამგეობის ხარჯით.

საზოგადოების ზემოხსენებულ სამ წიგნთ-საცავში საანგარიშო წელს ყოფილა სულ 3110 ცალი წიგნი. თითოეული ხელის მომწერი ჰყოლიათ—834 და დღიური მკითხველი—7934.

გარდა ამისა საზოგადოების საანგარიშო წელს აღუჩენია შემწეობა ფულითა და წიგნებით ერთ კერძო კაცისა, 7 სკოლისა დ 19 წიგნთ-საცავისათვის, სულ 335 მან. სულ-კი დაუხარჯია დახმარებაზედ—801 მ. 79კ.

საზოგადოებას დაუბეჭდია 2 ახალი წიგნი და ხელახლად გამოუცია სახელმძღვანელოები. დედა-ენა და ბუნების კარი.

საანგარიშო წელს საზოგადოებას შეუძენია 150 ახალი წიგნი და ხელთ-ნაწერი.

შემოსავალი ჰქონია - 6377 მ. 79 კაპ., გასავალი-კი—9279 მან. 95კ. ასე რომ გასავალს გადაუჭარბებია შემოსავლისთვის—2902 მ. 16 კაპ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება დანიშნულია 1 ივნისისათვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, საღამოს 7 საათზედ.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ზემო ქართლი**, 23 მაისი. ამ ოთხი-ხუთის წლის წინად გორის მაზ-

---

# ფელეტონი

### ნაწყვეტი

ნუ დასცინი შეყვარებულს,
იქვი ტრფობისა ძნელია
იმაზედაც-კი, თუნდ გულში
გკბენავდეს ყორის გველია,
თორემ გამოსცდი ოდესმე,
ადამიანის მკვლელია:
სულსა ჰხდის, ახმობს, როგორც ბუზს
ობობას ბადე-ქსელია.

დ. მაჩხანელი

---

## დედა-კაცი თავისის ბუნებრივის აგებულებით მამა-კაცზედ დაბლა სდგას, თუ არა?

(ვუძღვნი განდეგილს)

ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს თუნდა ხვადია.
შ. რუსთაველი

ის, რაც რუსთაველმა მეთორმეტე საუკუნეში სთქვა ლექსად, ჯერჯერობით ვერც ცხოვრებას და ვერც მეცნიერებას ვერ გადაუწყვეტია; ჯერ კიდევ დიდი კამათია და სჯა ამის შესახებ მეცნიერებაში და ვინ იცის, როდის ექნება დასასრული.

დედა-კაცის თავისუფლებას როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი ჰყავს, მაგრამ სამწუხაროდ მოწინააღმდეგენი უფრო მეტს რიცხვს შეადგენენ ვიდრე თანამოაზრენი. პირველნი მეცნიერების ძალით ამტკიცებენ, რომ დედა-კაცის ბუნებრივი აგებულება იმ გვარია, რომ იგი ვერასოდეს ვერ მიაღწევს იმ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას, რომლითაც მამა-კაცია აღჭურვილი; დედა-კაცი იმათის აზრით, უფრო მდაბალი არსებაა, ვიდრე მამა-კაცი; რომ იგი მუდმივ საჭიროებს მამაკაცის მფარველობას. მომხრენი-კი სრულებით უარ-ჰყოფენ ამ აზრს და მეცნიერულად ამტკიცებენ დედაკაცის და მამაკაცის ერთ გვარ ბუნებრივს აგებულებასა და ღირსებას.

ჩვენ ვეცდებით მოკლედ გადავცეთ მკითხველთ, თუ რას ამბობს ამის შესახებ მეცნიერება.

მსოფლიო ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი, შევნიშნავთ ფრიად საყურადღებო მოვლენას: მსოფლიო ცხოვრებაში დედაკაცს ფრიად მცირე ადგილი უჭირავს; იგი ცხოვრებას თითქმის სრულიად მოშორებულია და არავითარი გავლენა არა აქვს იმაზედ. ძველ საბერძნეთში, სადაც ადამიანის თავისუფლებამ და ჭკუა-გონების განათლებამ მიაღწია უმაღლესს წერტილს, თვით ამ სახელმწიფოში დედაკაცი იყო მოკლებული სრულს თავისუფლებას და უფრო მამაკაცის კუთვნილებას შეადგენდა, ვიდრე თავისუფალ არსებას. ნაშინდელი ბერძნული ლიტერატურა მრავალ ცხოვრების სხვა-და-სხვა საგანს შეეხო, ხოლო დედაკაცის თავისუფლების შესახებ არაფერი თქმულა. თვით არისტოტელი და პლატონი დედაკაცს სრულიად არ იხსენიებენ თავიანთ ნაწერებში. მხოლოდ სოფოკლმა თვის შესანიშნავს დრამაში „ანტიგონა“-ში დედაკაცს პირველი ადგილი დაუთმო. ძველ რომშიაც დედაკაცი უფრო მონურს მდგომარეობაში იყო; აქაც იმას არავითარი გავლენა არა ჰქონდა ცხოვრებაზედ; იგი იყო მხოლოდ დედა და უფროსი ოჯახისა.

თვით ქრისტეს მაღალმა მცნებამ ვერ აღამაღლა დედა-კაცის მდგომარეობა და იგი მამა-კაცის მორჩილებაში დაბადა.

საშუალო საუკუნეებში რაინდობის დროს დედა-კაცს უფრო მეტი პატივისცემა და ყურადღება მოემატა. ყოველ რაინდს ჰყავდა „სატრფო გულისა“, რომლის სახელს მუდმივ აქებდა და ადიდებდა სიტყვითა და ხმლით; მაშინდელმა პოეტებმა შეაქეს დედა-კაცის სილამაზე და მშვენიერება, მაგრამ ამითი დედაკაცის სოციალური მდგომარეობა მაინც ვერ გაუმჯობესდა.

მე-XVIII საუკუნე იმითი არის შესანიშნავი, რომ ადამიანის ჭკუა გონებას დაეტყო გარდამეტებული სიცხოველე და განვითარება; მაშინდელმა ფილოსოფოსებმა და სხვა მწერლებმა თავიანთ თხზულებებში დაიწყეს ქადაგება ადამიანის თავისუფლების შესახებ. ამ გვარს მოძრაობას დიდი გავლენა ჰქონდა დედა-კაცის მდგომარეობაზედაც, მას დაეტყო მეტი სიფხიზლე და სიცოცხლე; აი ამიტომაც დიდის რევოლიუციის დროს, რომელიც ამ საუკუნეში იყო, ზოგიერთმა დედა-კაცმა თავი იჩინა თვისის ჭკუითა და მხნეობით.

მე-XIX საუკუნეში დედაკაცის განთავისუფლების საქმეს დიდი მოძრაობა ეტყობა; როგორც ყოველ მოძრაობაში, აქაც ზოგი მომხრეობას სწევს და ზოგი-კი სრულიად უარ-ჰყოფს ამ მოძრაობის სარგებლობას.

განათლებულ სახელმწიფოებში დედაკაცი იბრძვის, რათა მოიპოვოს მამაკაცის უფლებანი სახელმწიფოს მართვაში და სრული თავისუფლება სწავლა-განათლებისა. დედაკაცის მომხრეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს, ხოლო მოწინააღმდეგეთა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია.

II

მოწინააღმდეგენი უმთავრესად ფიზიოლოგიის და ანატომიის ძალით ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ დედაკაცი უფრო მდაბალი არსებააო. ამათ შეისწავლეს დედაკაცის აგებულება და აღმოაჩინეს დიდი განსხვავება მამაკაცის აგებულებასთან; ამათის აზრით, ეს განსხვავება ჰმოწმობს დედაკაცის დაქვეითებულ არსებობას. ადამიანის სხეულში უმთავრესი ორგანო არის ტვინი და ამასთან თავის ქალა, სადაც ეს ტვინია მოთავსებული; ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი აგებულება ტვინის თვისებაზედ არის დამოკიდებული. აღმოჩნდა, რომ განსხვავებაა როგორც თვით ტვინის, აგრეთვე თავის ქალას მხრივ: თავის ქალა დედა-კაცისა უფრო მჩატე და მსუბუქია, ვიდრე მამა-კაცისა; აგრეთვე მცირე აქვს თავის ქალაში ტვინის ადგი დედა-კაცსა მამაკაცთან შედარებით. დედა-კაცის თავის მოყვანილობა ძლიერ წააგავს ბავშვისას. რაც შეეხება ტვინს, უპირველესად მისი სიმსუბუქე აღნიშნეს და მასთან მისი რაოდენობის სიმცირე; ასე რომ დედა-კაცის ტვინი წონაში უფრო ნაკლები მოდის, ვიდრე მამაკაცისა. გარდა ამისა აღნიშნეს კიდევ ერთი საყურადღებო განსხვავება: ადამიანის და სხვა ცხოველთა ტვინზედ არის მრავალი მიმოხვეულები, რომლებიც დაკლაკნილნი არის ტვინის სივრცეზედ; ამ მიმოხვეულებს მეცნიერები დიდს მნიშვნელობას აძლევენ; მათის აზრით, ეს მიმოხვეულებაა ნიშანი ადამიანის ჭკუა-გონის მხრივ განვითარებისა, ასე რომ ვისაც უფრო მეტი და ღრმად აქვს ეს მიმოხვეულები, იმდენად ის ჭკუა-გონებითაც მაღლა სდგას. მართლაც, მრავალ წარჩინებულ კაცთ სიცოცხლეში თავისის ნიჭით, ბოლოს ტვინი ძლიერ მძიმე და მიმოხვეულებით მდიდარი აღმოაჩნდათ.

დედა-კაცის ტვინზედ ეს მიმოხვეულები უფრო ნაკლებად არის, ვიდრე მამაკაცისაზედ.

დანარჩენ დედა-კაცის აგებულებას რაც შეეხება, მოწინააღმდეგეებმა მიაქციეს ყურადღება იმისის სხეულის ნაზსა და სუსტს მოყვანილებას, რომელიც ჰმოწმობსო, რომ ბუნებას იგი არ გაუჩენია არსებობის ბრძოლისათვის.

თუ რომ დედა-კაციო, ამბობენ ესენი, ქვეყნის გაჩენისათანავე მამაკაცის მფარველობაშია და ცხოვრებას მოშორებულია, სჩანს, ეს თვით ბუნებისგან ყოფილა დაწესებული, რადგან ბუნებაში ასე მუდმივად ძალმომრეობით არაფერი ხდება; ბუნებაში მოქმედებენ მუდმივადა შეურყეველი კანონები. მიაქციეთ ყურადღება დანარჩენთ ცხოველთაო, და აღნიშნავთ ამ გვარსავე მოვლენას: მაშინ, როდესაც დედა-ცხოველი შვილებს ჰზრდის და უვლის, მამალი პირუტყვი იმის ზრუნვაშია, რომ იმათ საკვები უშოვნოს და რომელისამე სხვა პირუტყვისაგან დაიფაროს.

დედაკაცს უნდა მიეცეს უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში მოხდა „გლეხთა საზოგადოების“ შორის ცვლილება. ადგილობრივმა პოლიციამ ურჩია გლეხთ, სამი-ოთხი სამამასახლისო ერთ სამამასახლისოდ შეედგინათ და მცოდნე და ნასწავლი კაცები აერჩიათ მამასახლისებად. ამ გვარად გლეხთა ცხოვრება გაუმჯობესდებაო, ნაკლები უსამართლობა იქნებაო, ნაკლები შეგხვდებათ გზირის და ჩაფრის გარდასახადიო და სხვანი. თუმცა მაშინ უმეტესი ნაწილი გლეხობისა უარზედ იყო და არ უნდოდათ არც შეერთება და არც სხვა წოდების კაცის მამასახლისად არჩევა, მაგრამ ძალა-უნებურად შეასრულებინეს ყოველივე ზემოთ ნათქვამი, დიდი და დიდი იმედები მისცეს გლეხებსა როგორც ადმინისტრაციამ, ისე იმათ, ვისაც უნდოდა ხელში ეგდო სოფლის მამასახლისობა. ვიდრე გუბერნატორი დაამტკიცებდა ახალ არჩეულ თავად-აზნაურთ და მღვდლის შვილებსა ყველა ჰპირდებოდა, ჩვენ ჯამაგირები არ გვინდაო, სახელის გულისთვის უნდა გემსახუროთო, რომ გლეხთა მდგომარეობა გავაუმჯობესოთო, ვინც ჯამაგირით ითხოვა დგომა, იქვე განაჩენში მოიხსენიეს. ხალხმა ის ირჩია, ვინც მუქთად დაჰპირდა სამსახურსა, მაგრამ, საუბედუროდ, როგორც-კი მოუვიდათ ამ კაცუბატონებს მამასახლისად დამტკიცების ამბავი, დაავიწყდათ თავიანთი დაპირება.

მოვიდა თუ არა სახელმწიფო ხარჯის გაწერა, ზედ მივიდნენ თავიანთ ჯამაგირის კომლზედ 1 მან. 70 კაპ. ამ გვარად გამოვიდა, რომ რაც მიელად სოფელს ხარჯი ჰქონდა, ისევ ის გარდასახადი ედო. სოფელ ალში ჩვეულებად ჰქონდათ, მამასახლისს ერთს მუშას ახმარებდნენ, ერთი გზირი ჰყავდათ, ამ გადასახადს ისევ იხდიან, მამასახლისის თანაშემწე თითო კომლზედ თითო მუშით სარგებლობს, გზირი ისევ ჰყავთ და მამასახლისი კიდევ 1 მან. 70 კაპ. ცალკე ახდევინებს. გლეხთ ხარჯი კი არ შეუმოკლდათ, უფრო მოემატათ, წინანდელი მამასახლისები თუ თავიანთის სოფლის მდგომარეობას თვალყურს ადევნებდნენ, თავისს დროზედ ნახირს დააყენებდნენ, მეველესა და სხვანი, ეხლანდელ მამასახლისებს არა სცალიანთ სოფლის თვალყურ სადევნებლად, პოლიციის მოხელის საქმეებს ესენი ასრულებენ.

ალის საზოგადოებამ მესამე წელიწადს აღარ მისცა ჯამაგირი მამასახლისს; რადგანაც გუბერნატორმა სცნო, რომ ამის მიერ აღებული ჯამაგირი უკანონოდ არის მოკრეფილი და მოიწერა, თუ სოფელს უნდა ჯამაგირი მოგცეს, განაჩენი უნდა შესდგესო, და აბა ვინ მოუწერდა ასეთ განაჩენზედ ხელს.

ეხლა შეუდგა სურამის პოლიციის მოხელე მამასახლისის არჩევნებსა, მაგრამ, სამწუხაროდ, გლეხებს ისე გაუტეხა გული ამ მამასახლისების საქციელმა, რომ არ იციან თუ რა ჰქმნან, ყველა უფრთხის და არ ეკარება. ვინცკი არჩევანის დროს მოვიდა, ყველა გლეხმა ის იძახა: გაგვყარეთ და წინამდებურად გვამყოფეთ, ჩვენ ჩვენსავე გლეხს ავირჩევთო.

მოხისმა, კაყამ, ფლევმა და ნაზახტევმა ერთ ხმად უარი სთქვეს და გაიფანტნენ. ამ სახით არ შესდგა არჩევანი. ასეთივე საქმე მოხდა ოსიაურისა, ჭალისა, ოქონისა და წაღვლის საზოგადოებაში. ერთის სიტყვით, აქეთ ძალიან აქვთ გული გატეხილი ხალხს და დიდადაც უნდათ ძველებურს წეს-წყობილებას დაუბრუნდნენ. იმედია ვისიც ჯერ არს მიაქცევს ყურადღებასა და შავ ხალხის მდგომარეობაში

ჩვენსკენ იმოგზაურა მისმა მეუფებამ, საქართველოს ეგზარხოსმა, ბევრი ნაკლულევანებანი ჰნახა. სოფელ ალში გლეხთ პირჯვრის წერა ვერ მოახერხეს და არც ერთი გლეხი არ გამოჩნდა 200 კომლს შორის ისეთი, რომ „მრწამსი“ სცოდნოდა. მოსწავლეებმა, თუმცა აგერ 3—4 წელიწადია სასწავლებელია დაარსებული, არ იცოდნენ, შობა როდის გათენდებაო.

სურამელი.

# რუსეთი

—

ფინლიანდიის რკინის გზაზედ უნდა გამოსცადონ ბ-ნ ვერხოვსკის მიერ გამოგონილი მანქანა, რომელიც თითოეულ ვაგონში იქნება გამართული და თავის თავად აღნიშნავს ხოლმე თითოეულ სადგურს, რომელიც წინ უდევს ხოლმე მატარებელს.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს შესცვალოს ის წესი, რომელიც დადგენილია ეხლა მაგისტრობისა და დოქტორობის ხარისხის მისაღებად. გაზეთები ამბობენ, რომ ახალი წესი მომავალ ენკენისთვიდგან იქმნება შემოღებული.

— ზღვათა სამინისტრომ გამოსცა ახალი წესი გემების მოგზაურობისათვის.

— 1898 წელს პეტერბურგში გაიმართება საერთაშორისო გამოფენა ჰაერში საფრენ მანქანებისა. გამოფენის გამართვაში დიდს მონაწილეობას იღებენ ფულის პატრონები ბ-ნი რაუპფუსი და ბ-ნი კნორრე. გამოფენა ექვს კვირას გასტანს: ივლისის 15-დგან აგვისტოს დამლევამდე.

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

22 მაისი.

დღეს იყო საგანგებო კრება ილდიზ კიოსკში საბერძნეთთან მორიგების შესახებ და, რასაკვირველია, არავინ იცის, რითი დაბოლოვეს. მარტო ისაა ცხადი, რომ ბერძნების მოთხოვნილებას ოსმალეთი არასოდეს არ დასთანხმდება. როგორც უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, საბერძნეთი თავისს თავს დაძლეულად არა სთვლის. „ჩვენაო, ამბობენ ბერძნები, სრულის ომის ნება არა გვქონია არც ხმელეთზედ და არც ზღვაზედ. ევროპამ მარტო იქ მიგვიშვა საომრად, საცა დარწმუნებული იყო, რომ ვიძლეოდითო. ხმელეთზედ რომ ჩვენ ვერას გავხდებოდით, ეს ჩვენთვისაც ცხადი იყო, მაგრამ რაც შეეხება ზღვას, უეჭველად გავიმარჯვებდითო. ეხლა, რაკი ევროპამ ნება არ მოგვცა, აღარც ჩვენ დავეთანხმებით იმათს მოთხოვნილებას და თუ ნებას მოგვცემენ ჩვენს ნებაზედ ვეღროთ, მაშინ სულ სხვა იქნება და თუ გვძლიეს, თავიანთი ნებაა, როგორც უნდათ ისე მოგვეპყრანო“. ბერძნები იმითაც არიან უკმაყოფილონი, რომ ოსმალეთის ჯარის გამგენი, დივიზიის მხედართ-მთავრების გარდა, ყველანი გერმანელები იყვნენ და რომ გვცოდნოდა, გერმანიის ჯართანაც გვექნებოდა საქმე, მაშინ სულ სხვანაირად მოვიქცევოდითო.

ოსმალები-კი ყოველსავე ამას თავისებურად ჰხსნიან. ესენი ექვის თვალით უყურებენ და არა სწამთ კუდის ქიცინი არც ბერძნებისა და არც ევროპისა. ოსმალები ამბობენ, ჩვენ ყველგან შეგვეძლო ბერძნებთან ომი სხვათა დაუხმარებლად. ზღვაში ბერძნები პრევეზასა და კავალში გემებითაც მოვიდნენ საომრად, მაგრამ ჩვენმა ზარბაზნებმა-კი ახლოც არ მოუშვა ნაპირთან. თუნდ რომ ზოგიერთი ზღვის ნაპირა ქალაქი აეღოთ, მართალია, ზარალს მოგვცემდნენ, მაგრამ გამარჯვება ბოლოს მაინც ჩვენი იყო, რადგან ბერძნები ხმელეთზედ ვერ გამოვიდოდნენ და არც იმოდენა პოლიტიკური ძალ-ღონე აქვთ, რომ ქალაქები დაეჭირათ, რამდენიმე თვე გამაგრებულიყვნენ და ჩვენი ეკონომიური მოძრაობა შეეჩერებინათო. ჩვენი ეკონომიური საქმეები სულ ევროპიელთა ხელშია, ევროპიელებს მიეცემოდათ ზარალი და არა ჩვენ. ევროპა ყოველსავე ამას ცხადად ჰხედავდა. პირველ შეტაკებისათანავე ევროპამ ნება მისცა გემებით შემოერტყმოდნენ პრევეზასა და კავალას. ჩვენ ბრმები ნურავის ნუ ვგონივართ, ყველაფერს ვხედავთ და ვხედავდით. ბერძნებს რომ ომი მოეგოთ, მაშინ ევროპა საბერძნეთის ფლოტსაც მოგვისევდა, რადგან დარწმუნებული იქმნებოდა, რომ ზარალს ადვილად აინაზღაურებდა. ახლა კი სულ სხვაფრივ დატრიალდა საქმე; როცა ნახეს, რომ ჩვენ ვიმარჯვებდით, მაშინ თავიანთ ინტერესების დაცვას მოებღაუჭნენ. ევროპიელები შემცდარნი არიან, როდესაც გვწამებენ, რომ ვითომ ჩვენ მთელ საქრისტიანოს გვინდა ომი გამოუცხადოთ და ვითომ ამიტომ გვაკვეცენ ფრთებს, მაგრამ რაც იმათა ჰსურთ, ისე არ მოხდებაო.

დღეს საღამოს ხმა გავრცელდა, რომ 15 დღით ომი შეჩერდაო. აქედგანა სჩანს, რომ ჯერ კიდევ არ მოდოების კრებაზედ შემდეგი ამბავი მოხდა: თავჯდომარემ წარუდგინა საზოგადოებას ორი ტვინი; ერთი ფრიად გამოჩენილის სარდალისა, შესანიშნავისა როგორც სიმამაცით, აგრეთვე ჭკუით, ხოლო მეორე უბრალო ჯარის-კაცისა; ამ კრებაზედ აღმოჩნდა, რომ უბრალო ჯარის-კაცის ტვინი უფრო მდიდარი იყო მიმოხვეულებით, ვიდრე მისის სარდლისა.

---

ყოველგვარის შრომის გაწევისა, მაგრამ ის შრომა კი უნდა იყოს გამოტოვებული, რომელიც ხელ-შეუშლის იმის ქმარ-შვილობას. ის ქალი, რომელიც მთელი დღე მსაჯულის სკამზეა და ან ტრიბუნაზედ ალამებს, რასაკვირველია, ღირსიაო პატივისცემისა, მაგრამ მაშინ იგი სტოვებს ქმარ-შვილობის უღელს.

ქალის დანიშნულებაო, ამბობს Prufft—Ebnig, არის ქმარ-შვილობა; ხოლო ეხლანდელი აღზრდა-კი ამ საგანს სულ არ მისდევს: ყმაწვილობისას იგი მთელის წლობით ზის მტვრით სავსე სასწავლებელში, სადაც იმას აკლდება ძალ-ღონე, რის გამოც მისი ისეც სუსტი აგებულება, უფრო მეტად უძლურდება. ამგვარს დაუძლურებას ის სამწუხარო შედეგი მოსდევს, რომ ნაძალადევად ადრე ქალობაში დგება, რის გამოც ბოლოს სუსტი დედა რჩება. იგივე ავტორი ამბობს, რომ ჩვენ დროში ასში ოთხმოცი უბედური ცოლ-ქრმობაა; საკვირველიც არ არისო, რადგან ქალს არ აძლევენ იმისთანა აღზრდას, რომელსაც შეეძლოს შექმნას მტკიცე და დამდგარი ხასიათი; დედა-კაცი ჩვენ დროში უფრო დროს გატარებას და სიტკბოებას მისდევს. შემდეგი საგულისხმიერო მაგალითი მოჰყავთ, რომელიც ამტკიცებს, იმათის აზრით, დედა-კაცის იმ გვარ ბუნებრივ აგებულებას, რომელსაც არ შეუძლიან აიტანოს მამაკაცური სწავლა-განათლება: ამერიკაში დიდი ხანია რაც შენიშნეს ერთი საყურადღებო მოვლენა—იქაურს სასწავლებლებში ვაჟები და ქალები ერთად სწავლობენ; თორმეტ-თოთხმეტ წლამდის ქალები სჯობნიან ვაჟებს სწავლაში, უფრო მეტს ნიჭსა და ყურადღებას იჩენენ, ვიდრე ვაჟები, მაგრა მიაღწევენ თუ არა 12—14 წელს, ესე იგი, ჩასდგებიან თუ არა ქალობაში, მაშინვე დაქვეითება ემჩნევათ და რაც ხანი გადის, იმდენად უფრო ნაკლებად სწავლობენ და ნიჭი და ყურადღება აკლდებათ.

აქედგანაცა სჩანს, თუ რა აზრისანი არიან და რას ჰქადაგებენ დედაკაცის თავისუფლების მოწინააღმდეგენი.

### III

საბედნიეროდ, დედაკაცს მოსარჩლენიც გამოუჩნდნენ; ესენი ზემოდ მოყვანილ აზრებს არ ეთანხმებიან და ამტკიცებენ, რომ დედაკაცსა და მამაკაცს აგებულებათა შორის იმდენი განსხვავება სულაც არ არის, რომ გადაწყვეტით შეიძლებოდეს აღნიშვნა ამა თუ იმ სქესის უვარგისობისა, ან უკეთესობისა. თუმცა დედაკაცი დასაბამიდგან მორჩილებაში იყო, მისი ჭკუა-გონება მოკლებული იყო ვარჯიშობას, მაგრამ დიდებულ ქალთა სახელები ისტორიამ მაინც იცის, როგორც მაგალითებრ, კლეოპატრა, სემირამიდა, პოეტი-ქალი საფო, თამარ დედოფალი, ეკატერინე მეორე და სხვები, რომლებიც ჰმოწმობენ დედაკაცის მაღალ ბუნებრივ აგებულებას.

ზოგიერთ ველურ ხალხთა ცხოვრება იმისი მაგალითია, რომ მთელის ცხოვრების უღელი დედა-კაცს აწევს, მაშინ როდესაც მამაკაცი მხოლოდ ომშია გართული.

რაც შეეხება დედა-კაცის აგებულებას, მომხრეთა აზრით, არავითარი ანატომიური და ფიზიოლოგიური განსხვავება არ არის, რომ ჰმოწმობდეს დედა-კაცის აგებულების სიმდაბლეს. თუ რამე შესამჩნევი ცვლილებაა, ეს იმისი მიზეზია, რომ დედაკაცი მუდმივ მოკლებული იყო ფიზიკურსა და გონებრივს ვარჯიშობას და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ იგი თვისის აგებულებით უფრო სუსტია მამა კაცზედ.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ დედა კაცის ტვინის რაოდენობის სიმცირე, რომელიც მოწინამღდეგეთა აზრით ჰმოწმობს დედა-კაცის გონებრივად დაქვეითებას; ამის შესახებ ზოგიერთ მეცნიერთა წარმოსთქვეს ის მოსაზრება, რომ თვით ტვინის რაოდენობასა და სიმძიმეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც ჩვენ შევადარებთ თავის ტვინს ხერხემლის ტვინთან და თუ ამ გვარად შედარებული ავიღეთ დედა-კაცის თავის ტვინი და ხერხემლისა, მაშინ ვერავითარს განსხვავებას ვერ ვპოვებთ მამა კაცის ამ გვარადვე შედარებულ ტვინთან.

რაც შეეხება იმ განსხვავებას, რომელიც ტვინის მიმოხვეულებში აღმოჩნდა, უნდა შევნიშნოთ, რომ ამის შესახებ ჯერ-ჯერობით მეცნიერებაში დარწმუნებით არაფერი არ გადაწყვეტილა.

მართალია, უფროს-ერთ რიცხვში მიმოხვეულების სიმრავლე ჭკუა-გონების განვითარებას გვიჩვენებს, მაგრამ ყოფილა იმისთანა შემთხვევებიც, სადაც ძლიერ უნიჭო ადამიანს მიმოხვეულებით მდიდარი ტვინი აღმოსჩენია. ერთ სამეცნიერო საზოგადოების კრებაზედ შემდეგი ამბავი მოხდა: თავჯდომარემ წარუდგინა საზოგადოებას ორი ტვინი; ერთი ფრიად გამოჩენილის სარდალისა, შესანიშნავისა როგორც სიმამაცით, აგრეთვე ჭკუით, ხოლო მეორე უბრალო ჯარის-კაცისა; ამ კრებაზედ აღმოჩნდა, რომ უბრალო ჯარის-კაცის ტვინი უფრო მდიდარი იყო მიმოხვეულებით, ვიდრე მისის სარდლისა.

ჩვენი ტვინი განიყოფება რამდენსამე ნაწილად და ყოველი ნაწილი შეადგენს ცენტრს რომელისამე ჩვენი მოქმედებისასა და ცნობისას; მაგალითებრ, ჩვენს ტვინში არის ცენტრები სმენისა, მხედველობისა, ლაპარაკისა და სხვანი; რომელი ცენტრი, ესე იგი, რომელი ტვინის ნაწილიც უფრო აქვს ადამიანს განვითარებული, იმ გვარი ნიჭიც მეტი აქვს; შესანიშნავ ორატორს უნდა ჰქონდეს განვითარებული ტვინის საფეთქლის ნაწილი, რომელიც ცენტრია ლაპარაკისა; მხედველობის ცენტრი არის ტვინის უკანა ნაწილები. როცა გამბეტტა მოკვდა, რასაკვირველია, იმის ტვინის მოყვანილობას დიდი ყურადღება მიაქციეს და აღმოჩნდა, რომ ამ შესანიშნავს ორატორს ის ნაწილი ტვინისა, რომელიც ლაპარაკის ცენტრია, სრულიად განუვითარებელი ჰქონდა. როგორც ჰხედავთ, ტვინის მოყვანილობას, რომელზედაც მოწინააღმდეგენი ამყარებენ თავისს უმთავრესს მოსაზრებას, მეცნიერებაში ვერ არის რიგიანად გამორკვეული. ერთის სიტყვით, მოწინააღმდეგეებმა ვერავითარი იმისთანა უტყუარი განსხვავება ვერ აღნიშნეს, რომელიც დედაკაცის აგებულების სიმდაბლეს ჰმოწმობდეს.

საბედნიეროდ, დედაკაცების თავისუფლების თანამოაზრეთა რიცხვი თანდათან ჰმატულობს. დედაკაცი იბრძვის, რომ მიიღოს მეტი თავისუფლება როგორც პირადად, აგრეთვე სწავლა-განათლებაში. დღე არ გავა, რომ დასავლეთ ევრობის რომელსამე ქალაქში დედაკაცმა არ მიიღოს სამეცნიერო ჯილდო. ქალები მწერლები, პოეტები, მხატვრები და მეცნიერები ახლა ყველგან ბლომად არიან. ვგონებ ყველას უნდა ჰქონდეს გაგონილი, რა დიდი სახელი მოიხვეჭა რუსმა-ქალმა კოვალევსკაიამ, რომელიც მიწვეული იყო შვეციაში მათემატიკის პროფესორად. თუმცა დიდად ღარიბია ჩვენი მწერლობა, მაგრამ ჩვენცა გვყავს მწერალი ქალები.

თუ რამდენად ვრცელდება დედაკაცის განთავისუფლების აზრი, ამას, სხვათა შორის, ჰმოწმობს ის ამბავი, რომ იმ მომავალ წლიდგან რუსეთში სამკურნალო ფაკულტეტი არსდება დედა-კაცთა თვის. თვით კონსერვატიულმა ოქსფორდის უნივერსიტეტმა ინგლისში დედა კაცს კარები გაუღო. ამერიკაში ხომ დედაკაცმა გაცილებით უფრო მეტს თავისუფლებას მიაღწია, ვიდრე ევროპიელმა ქალმა; ავსტრალიაში თვით ქალები განაგებენ სახელმწიფო საქმეებს. როგორც ჰხედავთ, მერმისი დედა-კაცისა ბრწყინვალეა და ცხოვრების სარბიელზედ იგი შეიქმნება ნამდვილი მეუღლე მამა-კაცისა.

ექიმი ბადრიძე

მხდარა შერიგება. ყოველ დღე მცირე აზიიდგან ჯარი მოდის აქ და მაკედონიაში იგზავნება. ას ორმოცდა-ათი ათასი ნიზამი მეორე მოწვევიდგან უკვე მოგროვდა და ამ დღეებში გაიგზავნება ბოლგარიისა და სერბიის საზღვრებზედ, საცა ორმოცდა-ათი ათასი ჯარის-კაცია უკვე დამარაგებული. ეტყობა ბოლგარია, სერბია და ჩერნოგორია რაღაცას უნდა ემზადებოდნენ, რადგან, როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, ბოლგარიის მთავრობას საზღვარზედ ორმოცდა-ათი ათასი მშვენივრად შეიარაღებული კავალერია მოუყვანია. რაც შეეხება ქვეითა ჯარს, მარტო ბოლგარიას შეუძლიან გამოიყვანოს დღეს ბრძოლის ველზედ ორასი ათასს კაცამდის. სერბიას ათასამდის და ჩერნაგორიას ორმოცდა-ათი ათასამდის. მაშინ ოსმალეთს საქმე ექნება თითქმის ნახევარ მილიონ ჯართან, მაგრამ მაინც არ ეშინიან ოსმალეთს, რადგან მაკედონიაში ისეთ ნაირად არიან წელმომაგრებულები, რომ ყოველთვის შეუძლიანთ გაუმაგრდნენ. თუ რომ რუმინიაც მიემხროვო, ამბობენ ოსმალები, მაშინ-კი სიფრთხილე გვჭირია, რადგან ჩვენ კარგად ვიცნობთ ყველა ამ სამეფოებსა და კარგადაც ვართ მათ ზნე ჩვეულებასა და ძალ-ღონესთან შეთვისებულნიო. ნუ ჰგონიათ, მძლავრი რუსეთი რომ არ ჰყოლოდათ ქომაგად, ჩვენ ეგენი წაგვართმევდნენ რამესაო.

ევროპას ჰგონიაო, დასძენენ ოსმალები, ჩვენ მატერიალური ღონე არ შეგვწევდება ომის გასაძლიერებლად და განსაგრძობად. ჩვენ კიდევა გვაქვს შეძლება ომი განვაგრძოთ და ყოველ შემთხვევაში ნურც იმას დაივიწყებენ, რომ ჩვენ ხალიფეს ოთხმოცი მილიონი ლირა აქვს, რაც ჯერ სრულიად ხელ-უხლებელი არისო.

ეხლა, როგორც ეტყობა, დაწყნარების მაგიერად, უფრო მწვავდება აღმოსავლეთის საქმე. ჯერ საბერძნეთ-ოსმალეთის საქმე არ დაბოლოვებულა, მაკედონიამ გამოჰყო ფეხი და იძახის: „მეც ნახირ-ნახირაო“. ბოლგარიის ლიბერალური გაზეთები იმას გარდა, რომ ბოლგარიის მთავრობას ჰკიცხავენ, მაკედონელებს ურჩევენ აჯანყდით, დრო არისო.

ინგლისის მოქმედება ხომ განსაცვიფრებელია. კრიტის ნავთ-სადგურებს აკეთებს და წლობით სახლებს ჰქირაობს. ოცდა-ათი ვებერთელა გემი პირეიაში ჰყავს და ორ ამდენს კიდევ აპირობს მოიყვანოს თურმე. ათინიდგანაც კარგი ამბები არ მოდის. ბერძნები ძლიერ აღელვებულები არიან, დღეში რამდენჯერმე იკრიბებიან თურმე და თხოულობენ რესპუბლიკა გვინდაო.

ბერძნების მდგომარეობა არც სტამბოლშია კარგად დაყენებული. მსოფლიო პატრიარქს დღითი-დღე აკლდება ძალა და შემოსავალი უმცირდება. ამ ბოლო ხანებში აქ ხმა გავრცელდა, რომ ვითომ პატრიარქს მოლაპარაკება ჰქონდეს რომის პაპთან შეერთების შესახებ, თუ რომ იგი შესძლებს და დაიცვავს ხელ უხლებლად მსოფლიო პატრიარქის უფლებათ, როგორც მატერიალურად, აგრეთვე სარწმუნოებრივად.

31 მაისს ლიტანიობა იყო ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. წირვა იყო ქართულად და ლათინურად. ეს დღესასწაული ეკუთვნის მარტო ამ მონასტერს, მხოლოდ აზრიკი საზოგადო აქვს. კათოლიკები მთელ მაისის თვეს ღვთის მშობლის თვედ სთვლიან და რაკი ქართველთა მონასტერს „უმანკოდ შთასახების“ მონასტერი ეწოდება, ამისათვის ყოველ მაისის დღეს განსაკუთრებული ლოცვებია ქართულ-ლათინურ ენებზედ და მაისის დამლევს-კი ახალის სტილისას ლიტანიასა ჰმართავენ ხოლმე. წრეულს, სამწუხაროდ, ავდარმა დიდად შეუშალათ ხელი. შესანიშნავის გემოვნებით კეთდება აქ ამ დღეს ორი სადღესასწაულო კარ-შესავალი სხვადა-სხვა . ბაირაღებით. წრეულს პატრი სტეფანე გიორგიძის გაწკარგულებით ერთს ამ კარ-შესავალთაგანს ქართულის ასოებით ჰქონდა გაკეთებული წარწერა და მეორეს ლათინურად. სულ ცოტა რომ ვთქვათ, აქ ამ დღეს აფრიალდება ხოლმე თითქმის ყველა სახელმწიფოს ბაირაღი, რაც კიდევ მეტს სიდიადეს აძლევს დღესასწაულს.

ამავე პატრ სტეფანეს თაოსნობით (ესევეა წინამძღვარი მონასტრისა) მონასტერში წარსულის წლიდგან დაარსდა ქართულ-ლათინურ-ფრანგული სკოლა, საცა ათამდის ყმაწვილი მესხი უკვე სწავლობს. სასიამოვნო სურათს წარმოადგენენ ეს პაწაწინა ბავშვები, როცა მოგროვდებიან მონასტრის ბაღში და დაიწყებენ ქართულად მღერას. ამათ, რასაკვირველია, უფრო მესხეთის ხალხური სიმღერები აქვთ შეთვისებულები. ესენივე მღერიან სხვა-დასხვა საეკლესიო ხმას ლათინურად ორგანოზედ და ყოველ დიდ დღესასწაულის დღეს ეს პაწაწინა ჩიტუნიები მშვენივრად ახერხებენ და დღესასწაულს ქართულად ულოცავენ თავიანთს წინამძღვარს. მე აღტაცებაში მომიყვანა უმანკო და წლოვანების შესაფერ აზროვანმა სიტყვებმა, მათ მიერ წარმოთქმულმა პირადად და წერილით. როგორც მე, ისე თვით პატივცემული პატრი სტეფანე დიდს მადლობას ვწირავთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთ. პირველმა დაუთმო ჩვენის თხოვნით ამ ჩვენს ნორჩს სკოლას ყველა სახელმძღვანელო წიგნები ორ-რი და სამ-სამი ეგზემპლიარი და მეორეთ — ჟურნალ-გაზეთები. მომავალ სექტემბერში ამ პაწაწინა ქართველების გამოცდა იქნება და ანგარიშს თავის დროზედ გაცნობებთ. დიდად დაგვავალებდნენ წიგნების გამომცემელნი საზოგადოებანი რომ არ დაზოგავდნენ და გამოგვიგზავნიდნენ ჩვენის ნორჩის სკოლისათვის თავიანთ საყმაწვილო გამოცემებს, თორემ ეს მონასტერი ხელ-ვიწროდ არის ქონებრივად და საქმე გაჭირვებით მიდის წინ. თუ საშუალება მოიპოვა, პატრ სტეფანეს აზრად აქვს მომავალ წლიდგან რუსულის ენის სწავლებაც შემოიღოს.

იასე რაჭველი

## დამაკვირდი

რაც უნდა კარგი სთქვან ჩვენ შესახებ, ჩვენთვის იგი ახალი ამბავი არ იქნება.

ლაროშფუკო

***

თუ მზაკვარმა პირშედ გაქოცა, კბილები დაითვალე, ხომ არ დაგაკლდება.

მიდრაშისა

***

მრავალნი ჭეშმარიტს გზას მხოლოდ მაშინ დაადგებიან ხოლმე, როდესაც უგზო-უკვლოდ სიარულით სრულიად მოღალულნი და მოქანცულნი არიან.

*



## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჟურნალ-გაზეთებში ხშირადა სწერია ხოლმე საკვირველი და საოცარი ამბავი ინდიელ ფაკირების შესახებ. ამბობენ, ეს ფაკირები ხშირად ისეთს რასმეს მოიმოქმედებენ ხოლმე, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ საზოგადოებასა და განსაკუთრებით მეცნიერებს სრულებით არა სჯერათ ეს საოცარი ამბები და ასე ამბობენ, რომ ყოველივე ეს უსაქმო კაცების მოგონილი არისო. მიუხედავად ამისა, ამ გვარი ამბები მაინც ხშირად იბეჭდება ხოლმე და ამასთან დაწვრილებით არის ხოლმე აღნიშნული, როდის მომხდარა ეს ამბავი, რა ადგილას, ვის უნახავს თავისის თვალით და სხვ. მართალია, ამ გვარი ამბავი ხშირად ძლიერ გაზვიადებულია, მაგრამ მაინც ღირსი-კი არის, რომ მეცნიერებმა ყურადღება მიაქციონ.

რის საშუალებითა და რა თვალთ-მაქცობით ახერხებენ ინდიელთა ფაკირები საოცარ და საკვირველს ამბებს, ამის შეტყობა ძლიერ ძნელია.

ჩვენ მკითხველს შევატყობინებთ მხოლოდ, რა უნარი ჰქონიათ ორს ინდიელს ფაკირს — ალი-მაჰამედ იაკუბსა და ერთ „პროფესორს“ იჰინგონს. ამ ორის თვალთ-მაქცის ამბები დაბეჭდილია ინგლისის ჟურნალ „Borderland“-ში.

იაკუბი მუდმივ სცხოვრობს ქალაქ სიმლაში. დაბალის ტანის კაცია, ძლიერ შავგვრემანი, ტანთ ევროპიული ტანთ-საცმელი აცვია. იაკუბი ძლიერ იშვიათად გამოდის თავისს სახლიდგან და ასე ამბობენ, არ უყვარს თვისის ოსტატობის გამოჩენაო. ამ თვალთ-მაქცს შეუძლიან ყველა იმ ამბის მოხერხება, რაც-კი ინდიელ ფაკირების ხელთ არის. გარდა ამისა სხვა საოცარ ამბებსაც ლაპარაკობენ იაკუბზედ. მაგალითად, მას გულზედ უკიდია პატარა ბეჭედი და ამ ბეჭედის შემწეობით ძლიერ საკვირველი ამბები მოუხდენია. ერთხელ, სრულებით მოულოდნელად იაკუბმა გადმოიღო გულიდგან თვისი ბეჭედი და იმ წამსვე ოთახში იმდენი პეპელა გაჩნდა, რომ შიგ მყოფმა ხალხმა ამ პეპელების გარდა ვერაფერი დაინახა. ერთხელ კიდევ მაგნოლიას გამხმარმა ტოტმა იაკუბის ხელში უეცრად ფოთლები შეისხა. თვით იაკუბისავე თხოვნით მისთვის რამდენჯერმე შემოუკრავთ ბასრი ხმალი და იაკუბს არა თუ არაფერი დაშავებია, წვეთი სისხლიც-კი არ გამოსვლია. გარდა ამისა იაკუბს მრავალჯერ აუსვრია ჰაერში თოკი, თოკი ჩამოკიდებულა და თვით იაკუბიც ზედ დაკიდებულა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მეტად საოცარია და ძნელად მოსაფიქრებელია, როგორ უნდა მოახერხოს ეს კაცმა. მაგრამ შემდეგი ამბავი-კი უფრო საოცარია.

1870 წელს ინდოეთში ერთი კაცი ჩააწვინეს კუბოში და ხუფი დაულურსმეს. მერე კუბო ჯაჭვებით ჩაჰკიდეს ძლიერ ღრმა ორმოში. ორმოს ზევიდგან ფიცრები დააფარეს, დააყარეს $1^1/_2$ არშინის სიმაღლეზედ მიწა და პური დასთესეს. პური მომკეს ამ დროს განმავლობაში კუბო ისევ ისე ჩაკიდებული იყო ორმოში და ყარაულები იდგნენ. 6 თვის შემდეგ კუბო ამოიღეს. ამოიღეს ფაკირი, მკვდარს ემგზავსებოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოასულიერეს. ეს ამბავი-კი იმდენად საყურადღებოა, რომ ღირს მეცნიერებმა თვისი ყურადღება მიაქციონ.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ალი-მაჰამედს. სიმლას მცხოვრებნი დარწმუნებულნი არიან, რომ ალი-მაჰამედის სიმდიდრეც რაღაც თვალთ-მაქცობით არის შეძენილი. ასე ამბობენ, თვისის უცნაურის ბეჭდის შემწეობით შეიძინა მაჰამედ-ალიმ რამდენსამე მილიონად ღირებული თვალ-მარგალიტიო. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ სწორედ ამ მარგალიტების წყალობით შეირცხვინა თავი ალი-მაჰამედმა. ერთხელ ერთს ვაჭარს ერთი ძვირფასი თვალი მიჰყიდა $2^1/_2$ მილიონ მანეთად. თვალი ყალბი აღმოჩნდა და იაკუბი სასამართლოში უნდა მიეცათ, რომ ვაჭრისთვის ნამდვილი თვალი არ მიეცა და არ მორიგებულიყო. ეხლა ალი მაჰამედი ჩინეთში აპირებს წასვლას.

ქალაქი სიმლა მაინც უთვალთ-მაქცოდ არ დარჩება. ალი-მაჰამედის ადგილას დარჩება აქ მეორე თვალთ-მაქცი იჰინგანუ. იჰინგანუ ძლიერ მტკიცეა თვის რჯულზედ. ხორცს არა სჭამს, ღვინო თავისს სიცოცხლეში არ დაულევია. თუმცა ძლიერ ახალგაზდა არის, მაგრამ თავისს ხელობაში — თვალთ-მაქცობაში ძლიერ გამოცდილია თურმე და დახელოვნებული. აი რა საკვირველ ამბებს სჩადის ეს „პროფესორი“: თვალის დახამხამებაზედ ოთახში გააჩენს ხოლმე ხილს, ყვავილებს, ფულს. ჰაერში ისე დააწყობს ან გადაჰკიდებს ხოლმე ჯოხს, წიგნს, ანთებულს ლამპარს, თითქოს თახჩაზედ აწყობს ან თოკზე ჰკიდებსო. ყველა-კი კარგადა ჰხედავს, რომ არც თახჩაა სადმე და არც თოკი. ოთახში რომ მოახერხოს ეს, კიდევ იფიქრებს კაცი, რომ უჩინარი თახჩა აქვს გამართულიო, მაგრამ საკვირველიც ის არის, ამ საკვირველს ამბებს იჰინგანუ გარეთა სჩადის, ეზოში ან ქუჩაში. ან კიდევ მისცემს კაცს ფულსა და ეტყვის: ხელი მაგრა შეკუმშეო, მერე კაცი რომ ხელს გახსნის, სახტად დარჩება, რადგანაც ფული აღარსად გამოჩნდება.

## შემოწირულება

მომავალ დედათა სკოლის სასარგებლოდ მივიღეთ თამარ დავ. გულისაშვილისაგან ექვსი მანეთი მის მიერ შეკრებილი ქ. ზაქათალაში. მოგვყავს აქვე შემომწირველთა სია: პოლკ. რ. ი. გრიგორიევისაგან 2 მ., ქეთევან მერკულოვისაგან 1 მან., ტარასი რცხილაძესაგან 1 მან., ილარ. გულისაშვილისაგან 1 მან., თამარა გულისაშვილისაგან 1 მან., სულ 6 მანეთი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 მაისი

**პეტერბურგი.** ბიულეტენე ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის შესახებ: მისმა უდიდებულესობამ ღამე წყნარ ძილში გაატარა. ტემპერატური დე მაჯა ნორმალურია.

ჯანმრთელობა უმაღლესის ახლად შობილის მთავრინასი ყოვლის მხრივ კმაყოფილია.

იუსტიციის მინისტრმა მურავიოვმა, მისის უდიდებულესობის ბრძანებით, სიმბირში გამგზავრების დროს ახალი სასამართლოების გასახსნელად, იუსტიციის სამინისტროს საქმეების განგება გადასცა სენატორს ტაინი სოვეტნიკს ზავადსკის.

გამგე მინისტრთა კომიტეტის საქმეებისა და ციმბირის რკინის გზის კომიტეტისა, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი კულომზინი გაემგზავრა უმაღლესის ბრძანებით, ციმბირში.

გუშინ აგარაკ „ალექსანდრია“-ს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის და საიმპერატორო გვარეულობის წევლთა თანადასწრებით, სამადლობელი პარაკლისი დიდის მთავარის ტატიანი ნიკოლოზის ასულის დაბადების გამო.

დღეს სატახტო ქალაქის სობოროსა და ეკკლესიებში გადდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი.

**სიმფეროპოლი.** გუბერნატორს მიუღია მოხსენება ბერდიანსკში მომხდარ უბედურების შესახებ. ზღვა ლიმანის შეერთებია. მეთევზეთა სოფლები წალეკილია. წყალმა 4 ფუტით ზევით აიწია. დაზარალებული მრავალია.

**კონსტანტინეპოლი.** ის ამბავი, რომ მოლაპარაკება ზავის შესახებ, რომელიც გუშინ უნდა მომხდარიყო, გადაიდო შაბათისთვის, აიხსნება იმით, რომ ტევფიკ-ფაშას არა ჰქონია შემთხვევა სულთანისაგან აეღო ნება-რთვა თესალიის გადაცემის შესახებ საბერძნეთისთვის ნაცვლად საზღვრების შესწორებისა. თუმცა შესაძლებელია, რომ საქმე გაძნელდეს, მაგრამ ყველას იმედი აქვს, რომ ბოლოს შეთანხმება მაინც მოხდება.

**ლონდონი.** „morninq Post“-ს დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: ფიქრობენ, რომ შემდეგ მოლაპარაკების დროს ზავის პირობების შესახებ ტევფიკ-ფაშა თანახმა იქმნება დაუთმოს შემდეგი: ოსმალეთი თესალიას საბერძნეთს გადასცემს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც პენეას ჩრდილოეთით არის. თანახმა იქნება კაპიტულიაცია, დარჩეს, მაგრამ მოითხოვს, რომ დანიშნულ იქმნას ექსპერტები ამ საქმის შესახებ; აგრეთვე თანახმა იქმნება, რომ საბერძნეთის ფინანსთა მდგომარეობა გამოკვლეულ იქმნას დასარწმუნებლად იმისა შესძლებს თუ არა საბერძნეთი სამხედრო კონტრიბუციის გარდახდას.

**სიმლა.** ინდოეთის ჯარის რაზმს, რომელიც 300 კაცისა 6 სამთო იარაღისაგან შესდგებოდა და რომელიც ბრიტანიის კომისარის ჯის მცველ რაზმს შეადგენდა, დაეცნენ შოშის ღელეში, როდესაც სადილს შემდეგ დასვენებულნი იყვნენ. 3 ინგლისის ოფიცერი, მათ შორის პოლკოვნიკი და 25 ჯარის კაცი მოკლულ იქმნა და ამდენივე დაჭრილია. ის ადგილი სადაც ეს ამბავი მოხდა მაიზოდ იწოდება. ინგლისელებს მტერმა რამდენიმე მილზე მისდია. ოფიცერები ყველანი დაჭრილნი არიან.

**ჯედდა.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ შავი ჭირი გაჩნდაო.

Дозволено цензурою, Тифлисъ 31 го Мая 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.